ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

11

ივნისი

1987

ნახ. დ. ერისთავისა

მებადური — ოქროს თევზს: — რა ვქნა, ისევ სათხოვნელად გამომაგდო ჩემმა დედაბერმა!.. ჯერჯერობით ვერაფრით ვერ გარდაიქმნა!..

ურემს ნუ გაჰყვები და ტალახი არ მოგეცხება!..



ფელეტონი

— **ღარიბმა კაცმა ღორს მუცელშივე შეუჭამა გოჭიო, აბაა!** — უყვარდა ამ ანდაზის გამეორება **ოფელია ძიძიგურს** და, მართლაც, მის გარშემო მუდამ ისეთი ხალხი ტრიალებდა, ვისაც უშრომელი შემოსავლის მიღების წყალობით ჯიბე ფულით ჰქონდა სავსე.

ქალმა რომ თქვა, **ბედი მომეც, სანეხვეზე გადამაგდეო,** სწორედ **ოფელიაზე** ითქმოდა. მაინც რა საქმეზე არ ეტანებოდნენ! — არიქა, ქალბატონო ოფელია, დამიტრიალდი, ბინის გადაცვლაში დამეხმარე!..

ზოგი სარფიანი სამსახურის ხელში ჩაგდებას ნატრობდა და ყოველივე ამის მიღწევაში **ოფელიას** იმედი ჰქონდათ!..

სწორედ სარფიან სამსახურში მოწყობის იმედით ეწვია **თბილისში, პლეხანოვის №95 სახლში, ოფელია ძიძიგურს ლეილა გოგოჭური.**

— ქალბატონო ოფელია! ვიცი, ყველას ეხმარებით და მე რა დაგიშავეთ, ყურადღებას რომ არ მაქცევთ? უნდა მიშველოთ, სადმე სარფიან საქმეზე გამიშვათ, ხომ იცი, **ხელი ხელსა ბანს და...**

— **ორივე კი პირსო!** — დაასწრო **ოფელიამ** და მაგიდაზე შამპანური და ხილი დაალაგა. — მაგაზე როგორ გაწყენინებ, ჩემო ლეილა, მოგიკვდეს ჩემი თავი, აგერ არა ვარ? მითხარი, სად ისურვებ მუშაობას და ზღაპარში რომ არის, ისე აგისრულებ სურვილს!

— ბენზინის გასამართავ სადგურში!.. ამბობენ, ბენზინის გამყიდველები დიდძალ ფულს აკეთებენო!.. დიდი მადლობელი ვიქნები!..

— ფიე! — ირონიულად გაიჭყანა **ოფელია ძიძიგური,** — მადლობა არც იჭმება და არც ისმება! ხომ იცი, **დიდ ქვაბს დიდი სულის ბერვა უნდა!** ძვირი დაგიჯდება!..

— სარფიანი საქმე რომაა, მეც ამიტომ ვარ დაინტერესებული!.. რაც ღირს, უკან არ დავიხევ!..

— **სილბო ყელმა ნახოს და სისხო ხელმაო!** ზევით უნდა შევაწუხო ხალხი, ეგ საქმე ისე არ გამოვა! ჰოდა, იქ, ზევით, რა უნდა, ჩემზე კარგად იცი შენ!..

— კი, ბატონო, მზადა ვარ. აგერ ორი ათასი მანეთი მიითვალე. ეს ბედ მომირთმევია, როგორც კი ჩემს საგუნებო ადგილზე დამნიშნავ, სამი ათასს კიდევ მოგართმევ! — **ლეილა გოგოჭურმა** ფულის შეკვრა მაგიდაზე დადო. ოფელიამ ფულს არც დახედა, ისე მოუსვა ხელი და მაგიდის უჯრაში მიუჩინა ბინა.

ლეილა გოგოჭურმა გადაწყვიტა, სანამ აღთქმულ ბენზინის გამყიდველის თანამდებობას მიიღებდა, არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო: იგი თითქმის ყოველდღე დადიოდა ბენზინის გასაყიდ პუნქტებში ფარულ „სტაჟირებაზე", ვითომ ვინმეს ელოდება ან ეძებსო, ფარულად სწავლობდა, ეჩვეოდა და აკვირდებოდა ბენზინის გაყიდვის „საიდუმლოებას".

ექვსი თვე გავიდა, რაც **ლეილა გოგოჭური ოფელია ძიძიგურისათვის** ქრთამის მიცემის შემდეგ „არალეგალურ მდგომარეობაში" იყო გადასული ბენზინის გამყიდველის პროფესიის შესასწავლად, მაგრამ შეპირებული ადგილი არ ჩანდა!.. **ლეილამ** სახლში მიაკითხა თავის შეფს.

— მოდი, ჩემო ძვირფასო, მოდი! ეს-ესაა, ახლა ვაპირებდი შენთან წამოსვლას. რა ვქნა, ახლოსაც არ გამიკარა დიდმა კაცმა. ორი ათასი მანეთი სასაცილოდაც არ ეყო. ხელიც არ დააკარა! ისე, სწორი კია! ხომ იცი, თუ მუშაობა დაიწყე, მაგ თანხას სულ რამდენიმე დღეში ამოიღებ!..

— კარგი, კარგი! **როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო,** — სწორედ ჩემზეა ნათქვამი. შევიჭერი ამ საქმეში და რა ვქნა ახლა?! აი კიდევ 1000 მანეთი მოგიტანე! ცოტა დამიჩქარე! მეტი ლოდინი აღარ შემიძლია! მართლა, რაც მთავარია, დამავიწყდა: უკვე კარგად ავითვისე ბენზინის გაყიდვის მანიპულაცია.

— ეს როგორ?

— ეს ჩემი საიდუმლოებაა!

— რახან ასეა, აწი მე ვიცი! ჩათვალე, რომ ხვალიდან უკვე გაფორმებული ხარ ბენზინის გამყიდველად. როგორ გავწვალდი, მაგრამ შენი გულისთვის ნემსის ყუნწში გავძვრები. აწი ნურაფრის გეშინია, ყველაფერი კარგად დამთავრდა!..

— მეც პირობაზე მზადა ვარ!

ლეილა გოგოჭური მონუსხულივით შესცქეროდა **ოფელიას** ხელჩანთას, სადაც მისი სამუშაოზე გაფორმების ბრძანების ასლი ეგულებოდა.

წუპაკი, ალბათ სანამ შეპირებულ დანარჩენ თანხას ორი ათას მანეთს არ ჩაიბარებს, მანამდე არ აპირებს ბრძანების ასლის მოცემას! —. გაიფიქრა **გოგოჭურმა.**

— ქალო, ნუ დამტანჯე, მომეცი ეგ სამსახურში დანიშვნის ქაღალდი!

— ა, ჩემო ლეილა, გაიხარე! აწი ნურაფრის ნუ გეშინია! გაიხარე! — ოფელიამ ხელჩანთიდან თხელყდიანი ბროშურა ამოიღო და ლეილას გადააწოდა.

— ეს რა არის?! — წარმოთქვა შეცბუნებულმა, გაფითრებულმა **ლეილამ** — წიგნი მინდა ახლა მე?!.

— შეხედე ახლა ამას შენ! — წამოიყვირა **ოფელიამ.** — სწორედ ჩემნაირ [illegible] ქალზეა ნათქვამი: **ჩაითრია ბადაგმა [illegible]** ჯერ მარბენინა აქეთ-იქით, [illegible] შევაწუხე ამის გულისათვის, ეს კი გაიძახის, წიგნი მინდა მეო?! იცი შენ, რა არის ეს?! რა გადამხდა ამის საშოვნელად?!—**ოფელია** ცეცხლს აკვესებდა თვალებიდან.

გაფუჭდა **გოგოჭურის** ქალი, — ვერაფერი ვერ გავიგეო, — წაილუღლუღა.

— ჰოდა, გამომართვი, შვილო, და რძალო, ეს წიგნი და შენც მოისვენე და მეც მომასვენე!

— **„ავტოგასამართავი სადგურის მუშაობის ინსტრუქცია",** — ამოიკითხა **ლეილა გოგოჭურმა.** იგი დაბნეული უყურებდა **ოფელიას.**

— აი, ასე ვიცი მე საქმის ჩაწყობა. შეისწავლე ახლა ეს ინსტრუქცია, შეისწავლე კი არა, სულ დაიზეპირე! დაწვრილებით გამოგკითხავენ და როდესაც უპასუხებ, შენი თავი ჩარიცხულად ჩათვალე! ამ დღეებში შემოგივლი!

ინსტრუქციის გადაცემის შემდეგ კიდევ ექვსმა თვემ გაიარა, **ოფელია ძიძიგური** კი არ ჩანდა. **ლეილა გოგოჭურმა** ზეპირად შეისწავლა **ინსტრუქცია,** მაგრამ რად გინდა მერე? — კვლავ უმუშევარი იყო! არავინ იწვევდა მას ბენზინის გამყიდველის ადგილზე. ახლა კი შემოირტყა თავში ხელი **ლეილამ** და პირდაპირ პროკურატურას მიმართა.

პროკურატურამ ისიც გაარკვია, რომ ამ დღეში **ოფელია ძიძიგურის** წყალობით **გოგოჭური** მარტო არ ყოფილა: **ანა აბულაშვილმა** თავისი პატივმოყვარეობის გამო „ყველაფრის გამკეთებელ" **ოფელიას** ბინის დაგირავების საბაბით თავისი ხელით ჩაუთვალა 4000 მანეთი, მერე კი თავში ხელი ირტყა, როდესაც მწარედ მოტყუებული დარჩა. უფრო მწარედ მოტყუვდა **ლიუდმილა ბალანჩივაძე,** რომელმაც ასევე ვითომდა ბინის დაგირავებისათვის 10 000 მანეთი გადასცა **ძიძიგურის** ქალს, რასაც კიდევ დაუმატა 2 000 მანეთი.

მაგარი კაკალი აღმოჩნდა **ალექსანდრე კოტაშვილი,** რომელმაც სამი წლის გააფთრებული ბრძოლის შემდეგ შეძლო უკან დაებრუნებინა 8 000 მანეთი, რომელიც მას ადრე დასტყუა **ოფელია ძიძიგურმა.**

კეისარს კეისრისაო! — ყველამ თავისი წილი მიიღო.

— **რომ მცოდნოდა, სად წავიქცეოდი, იქ ჩალას დავიგებდი!** — იძახის ახლა **ოფელია ძიძიგური,** მაგრამ გვიან არს შეგონებანი. რადგან **ოფელიას** სასამართლო განაჩენით მოუწევს 5 წლით, ქონების კონფისკაციით საერთო რეჟიმის შრომით-გამასწორებელ კოლონიაში ყოფნა.

ზაალ მესენგისერი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კაიყმა“

პაროდია ანტიპოდურ ჰანგზე

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,
მშოვნელის გულს აბორგებდეს,
არაკაცს არა სწყენოდეს?
ვინ ვთქვათ და ვისაც ეზოში
კრიალა „ვოლგა“ ჰშვენოდეს,
ჰქონდეს აგარაკ-სახახლე,
ფული ლეიბქვეშ ჰფენოდეს,
კუჭს, ღიპს და მუცელს გადაჰყვეს,
ხალხისთვის არა სცხელოდეს!
პატარა კაცი სძულდეს და
დიდის დუდუკზე მღეროდეს!
მიდით, იქ მიდით, სადაცა
ხალხი ფულზედა ჰღელავდეს,
ასკილოიან მუტრუკის
თვალნი სიხარბით ელავდეს!
ქურქები მუხლებს სწვდებოდეს,
„მაყუთი“ იყოს ყელამდე!
„შმოტკების“ დადგეს გორები,
სხვათა ჯიბეებს სწველავდეს!
ვინა, ვინ არი კაი ყმა?
ვაჟკაცი ვისღა ეთქმოდეს?
ვინც მიეგებოს რევიზორს,
წინ-წინ ვინც სიტყვას ეტყოდეს,
სახე-ოფლ-გადამდინარი
სირცხვილს არ გამოიტყოდეს!
პატივსა სცემდეს მოსულსა
და ქორვაჰრულად ფრინავდეს,
„სტავკა“ მას მისცეს მთლიანად,
დაატკბოს, როცა ბრდღვინავდეს!
ძმურად იყოფდნენ ნადავლსა
„ანონიმშჩიკის“ ჯინაზე!
მიძღვნილსა საუფროსოსა
დაუმადლებლად სწირავდეს,
დარაჯად ედგეს მაძღარსა,
რომ ის ღრმა ძილით ხვრინავდეს!..
სჯობს, მოკვდეს მსუყე, მაძღარი,
თუნდ სიკვდილის წინ გმინავდეს!
აი, ვინაა კაი ყმა,
მოსაგონარი ქებითა!
არა თქვენ, უფულოებო,
რო შიმშილითა კვდებითა,
ღამე მშივრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა,
ხელფასსა ჩასცქერთ, ძლომისთვის
არც როს არ გამასდგებითა,
სახელისათვის სცოცხლობთ და
კარგი სახელით ჰკვდებითა,
უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა!..
საფლავსაც კარგს ვერ იშოვით,
თუ არ მიაწექთ რქებითა,
ქელეხსაც გადაგიხდიან
მარტო ხაშლამის ძვლებითა
(ცოტა ლობიოც იქნება
აქა-იქ, ჩარიგებითა),
არ შაგიკრიფავთ ფულს არვინ,
არ გიტირებენ ცრემლითა!..
თქვენივე დაიხარჯება
დაგროვებული წლებითა!
არც კარგად მოგიგონებენ,
არც შეგამკობენ ქებითა,
იტყვიან: „იყო სულელი,
მოკვდა თავისი ნებითა,
სუფთა ხელფასით ცხოვრობდა,
სხვები ცხოვრობდნენ ყვლეფითა!“
დაჰკარგავთ აქა სახრავსა,
ვერც იქა ვერ გასძღებითა,
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა კვდებითა!

ვანო ცინცაძე

— უნდა მაპატიოთ, ფულის მოტანა დაგიგვიანეთ!..
— ეგ არაფერი! მთავარია, შემდეგში ჩვეულებად არ გადაგექცეს!

მაჭამები

„კბენის დარგში მე არა მწამს დოგმა!“ —
დაიღრინა ბრაზიანმა დოგმა.

●

რა თქვი, „სამოვარო?“ —
„რა საამო ვარო“?!

●

სხვას შენ ძალლივით პურისთვის ებაl —
ნუთუ ეგაა პურის თვისება?

●

სწრაფად უნდა გაგვა გიჟებს,
თორემ ბოლმა გაგვაგიჟებს!

●

ჩვენი იყოს, გემოვ, ნება,
იცოცხლე, გვაქვს გემოვნება!

●

შემოვა გავლენიანი,
ტირილით გავლენ იანი.

●

მოაფინეს მადლი ერებს —
ლაქუცებს და მადლიერებს.

●

თუ ვრგავთ რალაც სამ-ოთხ ხეს,
ველით რალად სამოთხეს?

●

რადგანაც იყო ლექტორი „უმი“,
არ გამოვიდა ლექტორიუმი.

●

ვაფრქვიეთ ვარდნი, ტიტანი...
და გამოვაცხვეთ ტიტანი!..

●

უმალ გაკვნიტა ისე ნიორი,
ვეჭვობ, რომ იყოს ის სენიორი.

●

გამიფრინე მუზა რადო,
საომარო მუზარადო?!

●

მეც რომ ნაკრძალში მომეკლა ტურა,
დამჭირდებოდა ნომენკლატურა.

●

როს სიმაღლეზე ავა გონებით,
იტყვის: „ტაძარი ავაგო ნებით“.

●

„ისევ ვწერამ, ინდე, ლექსსა,
მა რადა მთხომთ ინტელექტსა?“

გურამ პეტრიაშვილი

— რამ გაბერა ასე ეს ძროხა, თუ იცი?
— დაპირებებმა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსხედვართ, მივდივართ!.. მანქანაში მხოლოდ ორნი ვართ,
მეტიც რომ ვიყოთ, მნიშვნელობა არა აქვს ამას!
გზას ვიმოკლებთ და ვეწევით თუთუნს, თან ვიწყებთ ბაასს.
ჯერ ცას შევცქერით და ამინდზე ვსაუბრობთ წყრომით,
რადგან აქა წვიმს და ქედებზე უკვე მოთოვა...
მერე წვრილმანი საკითხები — კბილგასაკრავი —
და პრობლემების გროვა და გროვა!..
განვსჯით ექიმებს, მასწავლებლებს, სიძვირეს ბაზრის,
რას არ მოვედეთ, ცილობაა ფიქრის და აზრის!..
ვილაყბეთ ფრიად, დავდგით სიტყვის კორიანტელი,
გადავაბრუნეთ, გადავქექეთ სამყარო მთელი!..
ზოგს ფლიდად ვუხმეთ, სხვას ვუწოდეთ სხვისი ჯაშუში,
ვის უკანონო შვილი დარჩა, კრეტინი, ბუში!..
და დავასკვენით, რომ ცხოვრება გამოღმაც, გაღმაც
ზოგჯერ არ არის სრულყოფილი, არ ბრუნავს წაღმა!..
თუ არ გვიშველის საოცარი ძალა ციური,
მეორედ მოსვლა თუ რაღაც წარღვნა!..
ვსხედვართ, მივდივართ!.. მანქანაში მხოლოდ ორნი ვართ.
წინ ფართო გზაა, ნათელია ჩვენი მიზანი:
ამ ფართო გზაზე, უსასრულოდ მავალთა შორის,
რაც შეიძლება მეტნი ვიყოთ სპეტაკ-წმინდანნი!

დავით ასკურავა

ცხვარი ცხვარია!..

ფელეტონი

დუშეთის, ლენინგორისა და **ყაზბეგის აგროსამრეწველო გაერთიანებების საზოგადოებრივ მეურნეობებსა** და **დუშეთის პირუტყვის გადამამუშავებელ** ქარხანაში იფიქრეს: ცხვარი უენო ცხოველია, გაპარსულს ჩავაბარებთ თუ გაუპარსავს, ხმას არ ამოიღებსო, და უგულებელყვეს სახელმწიფოსათვის მისაყიდი ცხვრის სულადობის მომზადებისა და მისი მიღება-ჩაბარების ინსტრუქციის მოთხოვნების დაცვა.

სწორედ მეურნეობათა და ქარხნის ხელმძღვანელთა დანაშაულებრივი გულგრილობით უნდა აიხსნას, რომ სტანდარტის მოთხოვნების დარღვევით ახალგაპარსულ ცხვარს აბარებენ სახელმწიფოს და ამ მიზეზით ზარალდებიან როგორც საზოგადოებრივი მეურნეობები, ისე გადამამუშავებელი მრეწველობა.

დუშეთის რაიონის ცხრა საზოგადოებრივმა მეურნეობამ შარშან შემოდგომაზე პირუტყვის გადამამუშავებელ ქარხანას ჩააბარა 4 545 ცხვარი, რომელთაგან განუვითარებელბეწვიანი იყო 1078 სული. მეურნეობებმა სტანდარტის დარღვევის გამო (ოხ, ეს სტანდარტი!) 4 596 მანეთი იზარალეს. მარტო **ბულაჩაურის საბჭოთა მეურნეობამ** განუვითარებელი ბეწვით სახელმწიფოს მიჰყიდა 186 სული, **ფასანაურის კოლმეურნეობამ** — 256, **მაღაროსკარის კოლმეურნეობამ** — 165 და **ჭოპორტის საბჭოთა მეურნეობამ** — 192 სული.

ლენინგორის რაიონის ხუთმა საზოგადოებრივმა მეურნეობამ მსგავსი დარღვევით სახელმწიფოს მიჰყიდა 1041 სული ცხვარი და იზარალა 4 211 მანეთი, აქედან **დადიანეთის კოლმეურნეობამ** იზარალა 1906 მანეთი, **კორინთის საბჭოთა მეურნეობამ** — 928, **უკანამხრის კოლმეურნეობამ** — 291 მანეთი.

ყაზბეგის რაიონის ხუთმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 735 განუვითარებელბეწვიანი ცხვარი და იზარალა 3 359 მანეთი. **სნოს კოლმეურნეობამ** ჩააბარა 420 სული ცხვარი და იზარალა 2 233 მანეთი.

ნათქვამია: ძაღლი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო. ჰოდა, **საქსახაგრომრეწვის ბრძანებით დუშეთის, ლენინგორისა** და **ყაზბეგის რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეებს — ი. ნაზღაიძეს, ბ. ელოშვილს** და **გ. ჯამარჯიშვილს, დუშეთის გადამამუშავებელი ქარხნის დირექტორს ი. კოვზირიძეს** დაევალათ დაუყოვნებლივ განიხილონ სახელმწიფოსათვის ცხვრის მიყიდვაში პირუტყვის მიღება-ჩაბარების ინსტრუქციის მოთხოვნების უხეში დარღვევის ფაქტები და განუვითარებელბეწვიანი ცხვრის ჩაბარებით მიღებული ფასთა სხვაობა მეურნეობათა სასარგებლოდ გადაახდევინონ იმ მუშაკებს, რომელთა დაუდევრობითაც მოხდა ეს დარღვევა.

ასეა: ცხვარი ცხვარიაო, თუ გაბრაზდა ცხარეაო! ცხვარმაც იცის სამართლის გზა!

ჟ. გოგილაური

ცნობილი ქრონიკა

ცნობილმა ჭადრაკის ისტორიკოსმა უძველეს ხელნაწერებში მიაკვლია უცნობი ქართველების მიერ უცნობი დებიუტით გათამაშებულ უცნობ საჭადრაკო პარტიას. ჯერჯერობით იმის დადგენა მოხერხდა, რომ უცნობმა მსაჯმა 30-ე სვლაზე მეტოქეებს ორმხრივი პასიური თამაშისათვის ნება არ დართო, ყაიმზე შეთანხმებულიყვნენ.

—:—:—

ცნობილია, რომ აუზზე, სადაც ცურვის რეკორდებს ამყარებენ, ამბობენ, იქ სწრაფი წყალიაო.

ჩვენს დედაქალაქში ყველაზე სწრაფი წყალი მშენებელთა სახელობის ქუჩაზე მდებარე აუზში აღმოჩნდა: კაპიტალური რემონტის შემდეგ, ავსების ცდისას აუზი რამდენიმე წუთში იცლებოდა.

—:—:—

ცნობილი კომბინატის დირექტორს საწარმოო თათბირზე უსაყვედურეს: სპორტულ დარბაზს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევო!

— აუცილებლად მივაქცევ! — პირობა დადო დირექტორმა და... სპორტული დარბაზი საბანკეტოდ გადააკეთებინა.

—:—:—

ცნობილ წყალმხტომელს ერთი საღამოს განმავლობაში რამდენჯერმე მიუღწევია უმაღლესი საფეხურისათვის, მაგრამ გადმოხტომა ვერც ერთხელ ვერ გაუბედავს.

მეკრიბა ე. **თამაზაშვილმა**

ნახ. მ. აბაშიძისა



— ისე მიეჩვია საამქროში ძილსა და დასვენებას, სანატორიუმის საგზურზეც უარი თქვა!..

უთქმელ-უწყინარი

ოცდაშვიდი! — სრული ოცდაშვიდი წელიწადია,
რაც ქალბატონი ნატო განყოფილებას უძღვება!
თუ ამდენი ნაკლი ჰქონდათ ჩვენებს მისთვის სათქმელი,
დღევანდლამდე, საკვირველია, რა გული უძლებდათ?!

ისე გავიდა ტკბილად ოცდაშვიდი წელიწადი,
რომ მისი ურიგობა არავის წამოსცდენია!
აბა, ვინ, რომელი მისცემდა თავს ამის უფლებას,
როცა მისგან არც ერთ ჩვენგანს არაფერი სწყენია?!

არ გვახსოვს ჩვენ მისი სიმკაცრე და მომთხოვნელობა,
არ გვახსოვს, რომ უქმად ყოფნისთვის შენიშვნა მოეცა!
განა ვერ გვხედავდა, როგორ ვუქსოვდით ქმარ-შვილს,
ან შავ-თეთრი მატყლის ძაფს როგორ ვახვევდით
ორკეცად?!

ვაიმე, რამდენჯერ გაგვიცდენია სამუშაო,
მართლაც, არ გვეპატიებოდა ისეთი მიზეზით!
„გამოდით, თქვით რამე!“ — ვჩურჩულებ აქეთა და
იქით!..

გაგიგონია?! ჩემი მუჯლუგუნები ვის ესმის?!

რას ვიზამდი, ავდექ და ვიქუხე აღელვებულმა,
ჩემებრ თავი მოვუყარე მთელ გუდა აბდაუბდას:
როგორ შეიძლება-მეთქი ამ ქალის გამეტება?!
არაფრით არ ეკუთვნის მას ეს ჩვენგან, რა თქმა უნდა!

ვაჰ, რამდენი შაქარივით ტკბილი სიტყვა დავხარჯე,
მაგრამ რა? — ისე მაგრად იდგნენ ნათქვამზე ჩვენები,
ვერავის ავუჩვილე ის გაკერპებული გული,
ვერავის დავაღვრევინე სიბრალულის ცრემლები!..

„ოცდაშვიდი! ოცდაშვიდი!..“ — ამ ჩემსას გავიძახოდი,
ისინი კი — „სანამ საქმე ნულამდე არ დავიდა,
სანამ სულ მთლად არ შეირყა ჩვენი ავტორიტეტი,
ჩვენ ეს უსაქმურობა ვერ მოვიშორეთ თავიდან!“

ნამდვილად ეგრე გამოდის, რომ ქალბატონმა ნატომ
ვერ შეძლო გარდაქმნა და ჭერ ვერ აუღო ალღო ამ დროს.
ნამდვილად ეგრე გამოდის, რომ ქალბატონმა ნატომ
მოუხმარებელი ფარი და ხმალი უნდა დადოს!

უსიტყვოდ მიიღო დაქვეითება ჩვენმა ნატომ
(ან რაღა საჭირო იყო, დაესვა კითხვა — „რატომ?“).
... ეჰ, რამდენი მეგულება თანამშრომელთა შორის,
ნატოსთანა უწყინარ უფროსს გულით რომ ნატრობს!

ლალი მარტაშვილი

ჩუნ კოლონია * სატირული — ალეგორიული ლირიკა

თავვჯდომარე

თავთან იჯდა, მჯდარი მკიდა,
თავი ჰქონდა ერთი ციდა!..

ხელქვეითი

თავიც ჰქონდა, ტანიც ჰქონდა,
ოჯახიც და ორი ფეხიც!..
ყველს მოაჭონდა, ბუს გაპქონდა,
ქვეითს აბეფდობოდა მუნი!..

ცილისმწამებელი

თვით ადიდაში გამოსულა და
ჩვენ უზნეობას გვაბრალებს!..
რა ვქნათ?—ატლასით შემოსილია,
იძახის „თარიალელეს"!..

პო, ახე გიდის წეთისოფელი:
ქარქალითის!.. ტანჯვა-წვალებით!..
ზეობს მავანი!.. უარყოფილი
მიველალ, ვით ჯორის ნალება!..

უდარდელი

მე ლოთიფოოს შემადარებს,
შენ შეგარქმეულ მანიკას!..
არაფერი არ ადარდებს,
რადგან ყალბი ფრაკი აქვს!..

მოძურთამაკი

ხელიხგული მოუპოხა,
ანე მოიხეიდა:
გიუგზავნა ორი ძროხა
„ხაუკუნის წმინდანს"!

ხელმძღვანელი

ხელი ჰქონდა გაშვერილი,
ხელში — ეშმახ წერილი!..
მბრძანებლობდა, მ... ძღვენ...
ელობდა
ხელი — თითაღერილი!..

ნიჟილისტი

ცხოვრება — ჭაკი?.. მავანი მერანს
ადრის, ოუმე ჭაკის გავა ჩანს
მხოლოდ...
გარბის — ეწევი? — კარგია!..
ეკრა? —
რაღას დაკარგავ ბოლოს... და...
ბოლოს!...

ორპირი ია-ეუნს

ხელო, ენაბის ბრიგადირი,
ნაკუერდალი გუდა--სტეირით,
ხან ჭიკჭიკეს, ხანაც ტირის,
როგორც ჩიტი, ანუ სირი!..

„ქაბე ია, ფსევილი აქაა" თანა... ბეფრეკეე ეარიანტი

კაეი რომ ითხოვს რეა ტომსა, —
ეკეი ჰქონია მარტოსა! —
ეკეის განკვამარტოსა —
სხვას რა უტოკვებს — ჭატოსა?!

მეფრეკე

თანამდებობა რა არი? —
ქეის ნათესავი ქეა არი!..
ბულბულად იცნობთ? მერე რა,
ბოლოდან ყორნის ძმა არი!..
ყონტალ-გალობდა ხაწეთრო,
მაგრამ ქეეხკნელშიც მთა არი
სამსჯავრო!.. და ჩანს მით უფრო,
ვისთვის რა იყო მთავარი!..

ეეეფობა

იყო და არა იყო რა —
ეკეენ ორმაბათოსა,
ხავრძელ-ქელეშზე მჯდარი
ნუნკალი სტეირი მნათოსა!..
სმა-ჭამა უნეი იყოდა,
უნარიც ქეონდა დათვლისა!..
ბეკს ოლიდა, ძვლები ცვიოდა,
ყონალი იყო დათვისა!..

გლეხკაცის გადაკეთხული „რწყილი და ჭიანჭველა"

ისეთი დედას რაღა ეკუთხრა, —
ნინოლს ალლევს ფეტკის გამო
ძერახ!.. ოჯახს ხაფლავს ეთხრის:
— „კრუხო, ნაკვეხისკენ ნაბიჯ!..

. . .

ჩვენც ვიცოდით: დაინუვდეთ, —
მოგიწერათ ხელი ბაბამ,
თავს ხომ ალარ შეიტენეფდით
კაეი — რეკეისარი — ეაბ?!.

ხირაკლეეის „ეპეფლეეის ეეეილი"

ხირაკლეემამ მეკ ფხეკეფონამს,
როგორც ხალას, შეაფარა თავი,
მაგრამ მორანს ეკანალეზე
ატეოგრაფი — მერალი, თანაგ
ავა!..

* * *

ამ საკეერისს, ემას ჭერისას,
ეკეარს ჭამა ეაჭერისა!..

* * *

ეკნინ იეეკამდა ალეიფეს,
დღეს რა ქნას? — ბაძაკეს
ხალიფეეს,
თან ქალაკს ეაჭრის ბალეკეთა!..

ეეოფილი „ლაკეეეკი პოეტის" პორტრეტი

პოეტების ნაწეკარი
ჩაიბარა ბეკანინისტებს;
შეფს ნინ უზის ფაკინოსტეს,
„სატრფიალოს" ეკრავს სტეიროზე!..

შეხვედრომანი

ის შეხვედრებზე მარკვობს და
გადაბმეულ ლეკსებს კითხულობს...
— „ანა ცალ-ცალკე არ სკორდა?"—
იტყვის გლეხი და ქვითხეერო.

მფეკრლობის მფიოფილი ბეფილის ნაბარეინ და... ბრენდი

ერთმა ყოფილმა „მწერალმა"
კვლავ დაბრუნება ინდომა —
ოლიმპეზე ვერ გაამართალა
„ხაკმეთან ხარანინდომან"!.

ნახ. ბ. ლელაძისა

— ზეკის ბაბინო, ისეთი ხაკოფლე აღმოგიჩინეთ, ფზოიეეეი ავტინაწერეფლის მაგალითის აბაზეეს

ასე მითქვამს მე!..

ფელეტონი

მთელი წელიწადია ხიდ-კაკი არ ბასხვეს, რომელიც აკეე, ქუთაისში მუშაობს. ბორს მაინც ეკოთხ ბეკეი, ანე ანაკეფლის ეეეზედან ალეკეა ახე, კალიმერეი, კალიმერეხრეკეეი. რაკოთ არ ეკნაკ? ისიკის, რომ ანალიზაკი ალეკ-ბაბკაა ბაბკაა დაბეხნა? ბერე რა, რომ ბეკი ალეკ? ალეკ-ბაბკაა ეკეეეკ ეკ ბალეკ-ეკა?!. დაბეკანეეეთ, ახა, რა აკეეეეთ?! ახეთ ალერნიერი და ალალახაინ ეკ ბალ, ეარეეს ალერ ეარბეთიდეკნენ!.. მე ეენ ეიტაკეეი და ბაბკანეეეს ხაბრეკეეთ ხაკმოალეკ?! ალეკეი ხაკინაბეეეი ალეკ, ბაბოკეერეერ ხალმეეთან „ბეკს", ბარა ხაბი ალეკეი ალ ალ ბრეკეხაკ არ ჩაკეეხე, ხაბეეეხ კალეკეკეს! ალეკ ბაბკანის ნაბეალეეეს!.. ხალ კალეკ, რომ ალეკეკ! ალეკ ხაბეკეალ ხალეკ ბაბკანა ხალეკანტალეეეს!.. ხალ კალეკ, რომ ალეკეკ! ალეკ ალ ალ ალ

ᲫᲐᲜᲘ ᲜᲘᲙᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ

ᲝᲠᲓᲝᲛᲔᲢᲠᲘ

ᲗᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

„... ᲑᲠᲔᲫᲔᲑᲗᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ძირითადი მიზანია გაზარდოს ქუჩებისა და გზების გამგზარდნარიობა და უზრუნველყოს მოძრაობის ყველა მონაწილისა და ორგანიზატორის უშიშრობა“. სამწუხაროდ, ამ ყეთილშობილური მიზნის სრული რეალიზაციიდან ჯერ კიდევ შორს ვართ!

პარადოქსია, მაგრამ „გამტარიანობის ზრდასა და მოძრაობის უშიშრიებას“ ხშირ შემთხვევაში ზღუდავს თვით გზები, ქუჩები და ზოგჯერ მოძრაობის წესებიც. საკმე ის გაჩოვადთ, რომ „გზები და ქუჩები უმეტესად უხარისხო გვაქვს, ხოლო „წესები“ არასრულყოფილია. ამიტომ დაგროვილი გამოცდილების მოთხოვნათა შესაბამისად დროგამოშვებით მიზანშეწონილია მოძრაობის წესების გადაშუშავებაც და ნიშნების შეესება-გამოკლებაც.

მაგალითად, საგზაო ნიშნები სრულიად უგულებელყოფენ ორძოგს! არადა, ჩვენი გზები ორმოიანის გარეშე წარმოუდგენელია!

„ნიანგის“ რედაქცია წინადადებას სთავაზობს რეხუბლიკის ხახელმწიფო ავტოინსპექციას, რათა საგზაო ნიშნების ხახელმწიფო სტანდარტს შეემატოს კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „ორმომეტრი“— ორმოიანის აღმრაცხველი ნიშნები.

ვფიქრობთ, აღნიშნული ჯგუფის შემოღება დიდ დახმარებას გაუწევს მოძრაობის ყველა მონაწილესა და მის ორგანიზატორს. ეთქვათ, მძღოლს ინტერესებს რამდენი ორმოა ამა თუ იმ ქუჩაზე, ან გზის მონაკვეთზე. გაიხედავს და თვალს მოკლავს საგზაო ნიშანს, რომელზედაც აღნიშნული იქნება ორმოების რაოდენობა და გზის მონაკვეთის სიგრძე. ბუნებრივია, ამის შემდეგ დაანტერესებს ორმოთა მოცულობა, სიგრძე, სიგანე, ფორმა და სიღრმე!..

როგორც ვიცით, ორმო მრავალნაირია: „ეიდგულის“ ბორბლის ოდენა, „ვოლგის“ ბორბლის ოდენა, სატვირთო მანქანის ბორბლის ოდენა, ტროლეიბუსის ბორბლის ოდენა, სატვირთო ავტომანქანის ძარის ოდენა, თვით ავტომანქანის ოდენა: ღა, ბოლოს, სამარის ოდენაც. ეს რაც შეეხება ზომებს. მაგრამ ორმოს ხარისხსაც დიდი მნიშვნელობა აქვს — ცარიელია იგი, წყლით სავსეა, თუ ტალახიანია? ახლა ფორმით განვიხილოთ: ესენია — კოსხერვისებური ორმოები, შენიღებულ-თაღოვანური, ნახევრად თავახდილი, ან მთლად თავახდილი, გვერდზე მიგდებულწყარწერიანი („წყალკანალი“, „სატელეფონო ქსელი“...), ან უწარწერო თავსახურაგებიანი, მარეკუთხა, კვადრატული, წრისებური და სხვა მრავალი. არის სრულიად გაურკვეველი მონაზოლთბის ორმოებიც. ყველა მათგანი საშიშია, მაგრამ გამოირჩევა განსაკუთრებით საშიში — ავთვისებიანი ორმოიები. არის, რა თქმა უნდა, კეთილთვისებიანიც, მაგრამ იგი ჩვენი რესპუბლიკის გზებზე იშვიათია. ორმოთა შორის განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას იმსახურებენ ე. წ. ტრადიციული ორმოები. ესენი უმეტესად ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში გვხვდებიან, თაობიდან თაობას გადაეცემიან და მარადიულობას ინარჩუნებენ!

აი, ამიტომ გაგვიჩნდა აზრი, რომ ორმოები მეტ ყურადღებას საკირო ებენ და საესებით იმსახურებენ, რომ **„საგზაო ნიშნებში“** მათ მივუჩინოთ ღირსეული ადგილი!

ამასთან, „ნიანგის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს ყველაზე საინტერესო ორმოს აღმორჩინისათვის. არაეფემეტური, უბრალო ორმო, რომელიც თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, კონკურსისათვის არ გამოდგება.

გთხოვთ გამოგვიგზავნოთ განსაკუთრებულად საშიში ორმოს მისამართი. მის მიმზიდველობას, კატეგორიას, ხარისხს და მოცულობას რედაქცია დაადგენს. დადგენს და საპირო რეკომენდაციებსაც შეიმუშავებს.



ნახ. Ო. ᲧᲔᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲔ ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐᲛᲓᲔ ᲕᲘᲜᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲮᲠᲘᲚᲘ. ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲒᲐᲒᲔᲚᲘ „ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲡᲕᲔᲢᲖᲔ-ᲡᲕᲔᲢᲖᲔᲜᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲘᲠᲐᲑᲗᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲠᲝ, ᲝᲠᲘᲜᲐᲗᲘ ᲛᲘᲜᲔᲠ ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲮᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲮᲠᲘᲚᲘ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲔᲠ ᲐᲠᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲮᲠᲘᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲗᲮᲠᲘᲚᲘ.

ᲓᲦᲔᲠᲔᲛ, ᲠᲝᲓᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲝᲛᲝᲠᲘᲡ ᲐᲠ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ, ᲗᲣ ᲒᲘᲜᲔᲠ, ᲛᲘᲗᲣᲠᲗᲠᲝᲜᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲝᲛᲘᲡᲨᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲪᲘᲜᲔᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ. — ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲘᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ

ქანი სიხარულიძე

ორმოეტრი

ფელეტონი

„... გზებზე მოძრაობის წესების ძირითადი მიზანია გაზარდოს ქუჩებისა და გზების გამტარუნარიანობა და უზრუნველყოს მოძრაობის ყველა მონაწილისა და ორგანიზატორის უშიშროება“. სამწუხაროდ, ამ კეთილშობილური მიზნის სრული რეალიზაციიდან ჯერ კიდევ შორს ვართ!

პარადოქსია, მაგრამ „გამტარიანობის ზრდასა და მოძრაობის უშიშროებას“ ხშირ შემთხვევაში ზღუდავს თვით გზები, ქუჩები და ზოგჯერ მოძრაობის წესებიც. საქმე ის გახლავთ, რომ გზები და ქუჩები უმეტესად უხარისხო გვაქვს, ხოლო „წესები“ არასრულყოფილია. ამიტომ დაგროვილი გამოცდილების მოთხოვნათა შესაბამისად დროგამოშვებით მიზანშეწონილია მოძრაობის წესების გადამუშავებაც და ნიშნების შევსება-გამოკლებაც.

მაგალითად, საგზაო ნიშნები სრულიად უგულებელყოფენ ორმოებს! არადა, ჩვენი გზები ორმოების გარეშე წარმოუდგენელია!

„ნიანგის“ რედაქცია წინადადებას სთავაზობს რესპუბლიკის სახელმწიფო ავტოინსპექციას, რათა საგზაო ნიშნების სახელმწიფო სტანდარტს შეემატოს კიდევ ერთი ჯგუფი, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „ორმომეტრი“— ორმოების აღმრიცხველი ნიშნები.

ვფიქრობთ, აღნიშნული ჯგუფის შემოღება დიდ დახმარებას გაუწევს მოძრაობის ყველა მონაწილესა და მის ორგანიზატორს. ვთქვათ, მძღოლს აინტერესებს რამდენი ორმოა ამა თუ იმ ქუჩაზე, ან გზის მონაკვეთზე. გაიხედავს და თვალს მოჰკრავს საგზაო ნიშანს, რომელზედაც აღნიშნული იქნება ორმოების რაოდენობა და გზის მონაკვეთის სიგრძე. ბუნებრივია, ამის შემდეგ დააინტერესებს ორმოთა მოცულობა, სიგრძე, სიგანე, ფორმა და სიღრმე!..

როგორც ვიცით, ორმო მრავალნაირია: „ჟიგულის“ ბორბლის ოდენა, „ვოლგის“ ბორბლის ოდენა, სატვირთო მანქანის ბორბლის ოდენა, ტროლეიბუსის ბორბლის ოდენა, სატვირთო ავტომანქანის ძარის ოდენა, თვით ავტომანქანის ოდენა და, ბოლოს, სამარის ოდენაც. ეს რაც შეეხება ზომებს. მაგრამ ორმოს ხარისხსაც დიდი მნიშვნელობა აქვს — ცარიელია იგი, წყლით სავსეა, თუ ტალახიანია? ახლა ფორმით განვიხილოთ: ესენია — კონსერვისებური ორმოები, შენიღბულ-თავდახურული, ნახევრად თავახდილი, ან მთლად თავახდილი, გვერდზე მიგდებულ-წარწერიანი („წყალკანალი“, „სატელეფონო ქსელი“...), ან უწარწერო თავსახურავებით, მართკუთხა, კვადრატული, წრისებური და სხვა მრავალი. არის სრულიად გაურკვეველი მოხაზულობის ორმოებიც. ყველა მათგანი საშიშია, მაგრამ გამოირჩევა განსაკუთრებით საშიში — ავთვისებიანი ორმოები. არის, რა თქმა უნდა, კეთილთვისებიანიც, მაგრამ იგი ჩვენი რესპუბლიკის გზებზე იშვიათია. ორმოთა შორის განსაკუთრებულ პატივისცემასა და მოკრძალებას იმსახურებენ ე. წ. ტრადიციული ორმოები. ესენი უმეტესად ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში გვხვდებიან, თაობიდან თაობას გადაეცემიან და მარადიულობას ინარჩუნებენ!

აი, ამიტომ გაგვიჩნდა აზრი, რომ ორმოები მეტ ყურადღებას საჭიროებენ და სავსებით იმსახურებენ, რომ **„საგზაო ნიშნებში“** მათ მივუჩინოთ ღირსეული ადგილი!

ამასთან, „ნიანგის“ რედაქცია აცხადებს კონკურსს ყველაზე საინტერესო ორმოს აღმოჩენისათვის. არაეფექტური, უბრალო ორმო, რომელიც თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, კონკურსისათვის არ გამოდგება.

გთხოვთ გამოგვიგზავნოთ განსაკუთრებულად საშიში ორმოს მისამართი. მის მიმზიდველობას, კატეგორიას, ხარისხს და მოცულობას რედაქცია დაადგენს. დაადგენს და საჭირო რეკომენდაციებსაც შეიმუშავებს.





ნოველა

სახლიდან ჩემს სამსახურამდე შვიდი კილომეტრია. ამ გზის გავლას „იკარუსი“ სვენებ-სვენებით ოც წუთს ანდომებს. გაჩერებაზე იკარგება დრო, თორემ შვიდი კილომეტრი რა ბედენაა! ყოველი გაჩერება ცუდად მოქმედებს ჩემზე. შეიკავებს თუ არა „იკარუსი“ თავს და შედგება, ასე მგონია, თათბირი იწყება. ეს აზრი იქიდან ამეკვიატა, რომ ჩემი დირექტორი ყოველ დილას თათბირს მართავს წინადღის უმოქმედობის შესაჯამებლად. შეაჯამებს თათბირს და ოქმი იწერება იმის შესახებ, რომ დროულად მიიღო ზომები ჩამორჩენის აღსაკვეთად და თუ ხვალ რამე გაფუჭდა, იმისი ბრალი არ იქნება.

ღმერთო, ნეტავი დღეს თათბირი არ იყოს და, თუ გინდა, ფეხბურთის ორ თამაშს გამოვტოვებ ზედიზედ! — ყოველდღე ამას ვნატრობ, ამას ვფიქრობ, ამას ვიმეორებ გუნებაში და დარეკავს თუ არა საათი ცხრას, დირექტორის კაბინეტში ვზივარ თათბირზე!..

თათბირს დირექტორი იწყებს. მერე ჩვენ ყველა ვიმეორებთ იმას, რაც დირექტორმა უკვე თქვა. მერე დირექტორს აუტყდება თავის ფხანა, ჩვენ კი გვეწყება მთქნარება. მერე მთქნარება გადაედება დირექტორსაც და ჩვენ ვიპარებით თათბირიდან მას მერე, როგორც კი დირექტორი ნორმაზე ხანგრძლივი დროით ჩაჰკიდებს თავს.

დღეს არა, დღეს ვერ გავიპარეთ. ამოუშვა თუ არა პირველი ხვრინვა დირექტორმა, ადგილკომის თავმჯდომარემ თვალი ჩაგვიკრა, ხელი დაგვიქნია და თავისთან ნაგვიყვანა მორიგ თათბირზე.

ვითათბირეთ, ვითათბირეთ, ვითათბირეთ და არავის დაგვეძინა. ეს ყველაზე უფრო საინტერესო თათბირი იყო ამ თვეში. მაგრამ გამოირკვა, რომ ნამდვილი თათბირი ახლა იწყებოდა. ადგილკომმა ორი კაცი დაგვასახელა დელეგატად რაიონულ თათბირზე დასასწრებად და დასძინა, რომ ეს თათბირი ერთი კვირის წინათ უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ თათბირების გრაფიკში ვერ მოვხვდით.

ამრიგად, რაიონულ თათბირზე პირდაპირ ამ თათბირიდან უნდა წავსულიყავით. ნავედით კიდევაც. უფროსის თხოვნის შესრულებას ვინ აღუდგებოდა წინ!

რაიონულ თათბირზე, რომელიც მხოლოდ საათ-ნახევარს გაგრძელდა, მე და ერთი არაჩვენი თანამშრომელი აგვირჩიეს რეგიონალური თათბირის დელეგატებად და დღის სამ საათზე გაგვიშვეს შინ, ესე იგი სამსახურში.

დავბრუნდე თუ აღარ დავბრუნდე სამსახურში? ახლა უკვე ოთხის ნახევარი ხდება. სანამ სამსახურში მივალ, თხუთმეტი წუთი კიდევ გავა. მოდი, შინ წავალ, ჰა? არა, ცოლი ცოდოა, როცა შინ მხედავს, ხელები ებლანდება, ვეღარაფერს აკეთებს. არა, არა!.. ისევ სამსახურში წასვლა აჯობებს!

ავთავე თუ არა კიბეები, ცარიელი ოთახებიღა დამხვდა. ერთი ოთახი, ორი, სამი, ოთხი!.. ყველა ცარიელია, ესე იგი თათბირზე არიან სადღაც. მაგრამ სად? განყოფილების გამგის კაბინეტში. მოდი, შინ გავიპარები. მაგრამ ცოლი რას მეტყვის?

არაფერია!.. სახლმმართველობაში შევევალი ბავშვისათვის ცნობის ასაღებად. ვიდრე ცნობას დამიწერენ, სანამ იქ ვიღაცას გამოველაპარაკები, სანამ, ვიდრე, სანამ, ვიდრე და დროც გავა, მე შინ მივალ, რიგიანად ვისადილებ და მერე... მერე. მერე არაფერი, ტელევიზორს ვუყურებ!..

სახლმმართველობაში ისე გაბედულად შევედი, თითქოს მთელი დღის განმავლობაში არც ერთ თათბირზე არ ვყოფილიყო.

— სად არის მეპასპორტე? — ვიკითხე შესვლისთანავე.

— უფროსთან, თათბირზე!

გული იმიტომ არ წამივიდა, რომ შინ მისვლამდე ჯერ კიდევ მქონდა დარჩენილი დრო. არ მინდოდა, ცოლს ვადაზე ადრე ვჩვენებოდი — რამდენიმე სანტიმეტრით აქვს ნერვები დაძრული ადგილიდან.

სახლმმართველის კაბინეტის კარი შევაღე და ვიკითხე:

— მალე მოთავდება თათბირი?

— მობრძანდით, მობრძანდით, სწორედ თქვენ გვჭირდებოდით! — მითხრა სახლმმართველმა, — ნეტავი ყოველთვის ასე ამიხდებოდეს, რასაც ვინატრებ! იცით, რა? ზედა სართულიდან ქვედა სართულზე ჩამოხეთქილი წყლის შესახებ გვქონდა საუბარი და სწორედ თქვენ გვჭირდებოდით!..

ამ თათბირმა საათსა და ჩვიდმეტ წუთს გასტანა. შინ ოცდათხუთმეტი წუთის დაგვიანებით მივედი. მივედი და, ნეტავი ჯერ არ მივსულიყავი! — ჩემს ცოლს, ჩემი ბავშვების დედას, დაუსხამს მორბედები და რაღაცაზე ეთათბირება.

— მოდი, კაცო, მოდი, შენი აზრი გვჭირდება! — მომმართა ჩემმა ქალბატონმა და შინ ისეთი თათბირის სუნი იდგა, შესვლისთანავე წავიქეცი და ისლა შევამჩნიე, რომ უფროსი ბიჭი ტელეფონზე 03-ს კრეფდა!..

გიორგი ივანიშვილი



ერთ უცნობ კაცს ბრძოლის ველის შესახებ გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამები ამოუკრებია და ჩემს რედაქციაში მოუტანია გამოსაქვეყნებლად.

— ეგერ, მარცხნივ, მესამე ოთახში კაცი რომ ზის, ის გადაგიხედავთო! — უთქვამთ უცნობისთვის.

გადავუხედე:

„ვინც შეშინებულია, იგი ნახევრად დამარცხებულია“ (ა. სუვოროვი);

„ჩემი სახლი და სასახლე ბრძოლის ველია“ (პ. ბაგრატიონი);

„უმჯობესია ათასი მარცხი იწვნიო, ვიდრე თუნდაც ერთხელ გაიქცე ბრძოლის ველიდან“ (ა. ვანდეიკი).

და სხვათა და სხვათა დიდთა გამონათქვამებს შორის თვალი ვკიდე თუ არა **ჩემსასაც: „ბრძოლის ველზე შიშის გრძნობა ჩლუნგდება, თავგანწირვისა — ბობოქრობს“,** — მსწრაფლ ამოვუშალე.

— რათა, რათა?! — შეწრიალდა უცნობი, — მართალი ნათქვამია, თავად გახლდით ბრძოლის ველზე!

— მართალი კი არის, მაგრამ ჩემია!.. უხერხული იქნება აქ!..

— მე კი, თქვენი თავგადასავალი რომ წამიკითხავს, ცოცხალი არ მეგონეთ!.. — ჩაიბუტბუტა თავისთვის.

და დამყაბულდა ამოშლას.

* * *

საწერო მაგიდავ — ველო ბრძოლისაო! — გამიყვანს შენგან დრო? თუ დამტოვებს შენზეე, ვით სანიტარი, რომელსაც უფრო საიმედონი ჰყავს გასაყვანი და იძულებულია დატოვოს სულთმობრძავი დაჭრილი?!.

ვლადიმერ თოლდუა

№ 379
8.VI 1987

გარათეგი „ნიანგს“

გთხოვთ გააფრთხილოთ თქვენი კარიკატურისტები, უფრო დაკვირვებით ხატონ, თორემ მეზობლები არ მიჯერებენ, რომ ნახატზე გამოსახული ტიპი მე ვარ!

კონია სპეკულანტია

რაც წვენ;ბ;შ;ი გადავედი სამუშაოდ, სულ ნიანგს მესიზმრება ხოლმე. გთხოვთ ამიხსნათ, ცხადში ხომ არაფერი მემუქრება?

კაჟაია წვენია

მიტოვებული მყავს სამი წყება ცოლ-შვილი. სამივეს ალიმენტის გადასახდელად ჩემი ხელფასი არ მყოფნის. გთხოვთ ყოველთვიურად მომცეთ პრემია!

დანაზოგ ჩეშია

მიიღო მურმან მერკვილიშვილმა

ნახ. ჯ. ლომსაძისა

ბიუროკრატის „სამახსოვროლან“

● **გწამდეს** ადამიანთა სიტყვა, ოღონდ სიტყვა იგი დამოწმებული უნდა იყოს ხელმოწერითა და ბეჭდით!

● **სხვის** მხრებზე ნებისმიერი ტვირთი მსუბუქდება.

● **სამუშაოზე** ცუდუბრალოდ არ დახარჯო დრო, გაუფრთხილდი ყოველ დაკარგულ წუთს!

● **ნუ** ეძებ შენიშვნებს, ისინი ყოველთვის ხელთ უნდა გქონდეს!

● **ნუ** მიიღებ მთხოვნელებს, ვიდრე წინასწარ სათანადო პოზა არ მიგიღია!

● **მოითხოვე** საკუთარი თავისადმი პატივისცემა, თუ მისი დამსახურება არ შეგიძლია!

● **არის** სიტყვები, ხელს რომ უშლიან სიტყვიდან საქმეზე გადასვლას, არ დაივიწყო ისინი!

● **შედი** იმ ადამიანთა მდგომარეობაში, ვისაც მდგომარეობა მტკიცე აქვს!

● **შორს** ნუ გადადებ იმას, რაც შეიძლება მაუდქვეშ ამოდო!

„ლიტერატურნაია გაზეტა“



ნახ. ბ. ზუბავშვილისა

უსიტყვოდ

ეკიოვსილია და ზაუკაფი

ი ბ ა ვ ი

მაძღარ ბაყაყს, ერთხელ დილით,
ლაფში ტანი გაეთითხნა
და ეძინა ტკბილი ძილით
შუადღემდე, მერე — დიდხანს!..

ბოლოს, როცა გაეღვიძა,
აიხედა ზევით! — ამ დროს
დაინახა, რომ მერცხალი
ცაში ლაღად დანავარდობს!..

უცქერს მას და დარდით კვდება,
ფრთა ინატრა მისი შურით,
მერე კი თქვა: „მებრალება,
ხულელი და უბედური!..

სიცხეში და ქარში ფართხალს
არ უჯობდა ჩვენთან ლაფში?
არ უჯობდა მშიერ-მწყურვალს
ჩვენთან უჯდეს ხუფრას გაშლილს?“

საწყალ ბაყაყს რაღა ვუთხრათ? —
ჩვენს შორისაც ვხედავთ მსგავსებს!
თუ შენც ლაფში არა ცურავ,
ბაყაყივით შეგაფახებს!

გიორგი კაპანაძე

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

„ნიანგის" სარეკლამო ბიურო

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებები

გლდანის V მიკრორაიონის №22, 22ა, 28 და სხვა კორპუსებისის ბინადრები, ვისაც ფანჯრებიდან საცქერად სცალია, ხანგრძლივი დროით აგირავებენ ამ კორპუსების აღმოსავლეთით მდებარე მინდორს ნაგავგორებიანი რელიეფით, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპორტული ბაზების მოსაწყობად. აყალო მიწისა და ნაგვის ზვინები, რომლებიც დღითიდღე მაღლდება, ხელს შეუწყობს სათხილამურო სპორტის განვითარებას ტრამპლინიდან ხტომაში, სლალომსა და სხვა სახეობებში.

ზაფხულობით კი შეიძლება ჩატარდეს შეჯიბრებები დაბრკოლებების გადალახვაში: ნაგვის სუნი იმდენად შემაწუხებელი იქნება, რომ გაქცეული სპორტსმენი მოსალოდნელია ისე გაფრინდეს, ველარც გაიხერო, რაც იმის წინაპირობაა, რომ რეკორდებს უნდა ველოდოთ!

—:—:—

ქ. მახარაძეში კირავდება ბესიკის ქუჩა მთელი სიგრძითა და სიგანით მძიმეწონიანი და დიდგაბარიტიანი მანქანებით ავტორალის მოსაწყობად. ქუჩა განგებაა მოკლებული ტექნიკურ გაბარიტებს, რაც აიძულებს ავტორალის მონაწილეებს, წავიდნენ გარკვეულ რისკზე და სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით შეასრულონ მანქანური ტრიუკები: ცალ „სკატზე" სვლა, სრული სვლით მოხვევა ტროტუარის გამოყენებით, ორმოებში ჩაყვინთვა-ამოყვინთვა, ავარდნილი მტვრის ბურუსში გზის გაგნება, სინათლისა და სიგნალის სინქრონული გამოყენება და ა. შ.

ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: **ქ. მახარაძე, ბესიკის ქუჩის I შესახვევი.**

—:—:—

ზემოვეძისის ქუჩის №79ა და №79ბ კორპუსების მცხოვრებნი აცხადებენ კონკურსს მეურმისა და შიკრიკის ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად (2 საშტატო ერთეული).

მეურმეს უნდა ახლდეს კამეჩებშებმული ურემი და გააჩნდეს ტალახიანი გზებით მგზავრების გადაყვანის პრაქტიკული გამოცდილება და სერვისი ტაქსისტის დონეზე.

შიკრიკს უნდა ესმოდეს სულ ცოტა სამი ენა მაინც და, რაც მთავარია, უნდა გააჩნდეს დიდი სისწრაფე, გათვალისწინებული იმ რაიონის მომსახურებისათვის, სადაც არ არის ტელეფონის ჯიხური და ექიმის, ვექილისა და მისთანების გამოძახება ხდება მამაპაპური ხერხებით.

კონკურსის ვადა ერთი თვეა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

სარეკლამო ბიუროს აგენტი არდაინდო არდაშენია

ჩემი დღის რეჟიმი, ანუ როგორ ვახერხებ წონაში დაკლებას

იუმორესკა

ლოგინიდან ჯერ პირდაპირ შარვალში ვხტები, მერე ტუფლებში, სპრინტერივით ვწყდები ადგილს, კოსმოსურ სიჩქარეს ვავითარებ და სულზე ვუსწრებ ავტობუსს. სამბოს ილეთებით ვიკაფავ გზას, ბრასისტივით ვაპობ ხალხის ტალღას და ჩემს გაჩერებაზე ნერვებდაღლილ-დაწყვეტილი ვეშვები დაბლა.

მოსულიერების შემდეგ კენგურუსავით ავრბივარ კიბეებზე და სერჟანტივით ვეჭიმები უფროსს, რომლიც ჯერ თვალებით მჭამს, მერე — ენით. მოთელვისა და ცივი შხაპის მიღების შემდეგ ვილებ ქაღალდების დასტას და გავრბივარ!..

მარათონული ამანათრბენი ოთხ საათს გრძელდება. შესვენება რიგსა და ჭამაში ქრება და კვლავ ჩემს სტიქიაში ვარ. დღის ბოლოს სულმოუთქმელად გავრბივარ ბაზრისაკენ, საიდანაც ზაფრანასავით გაყვითლებული, ხახვივით გაფცქვნილი, გაწიწმატებული და აპილპილებული გამოვდივარ და რობოტივით მივაბიჯებ სახლისაკენ, საღამოს კი წელმოწყვეტილი და სუნთქვაშეკრული დღიურ ანგარიშს ვაბარებ ცოლს, რომელიც მისწორებს ანგარიშს, რაც უწყლოდ და უწყალოდ ცივი შხაპების მიღებით გამოიხატება.

თუ ამ პროცედურებს ყოველდღიურად შეასრულებთ, დარწმუნებული იყავით, რომ ქონი არ მოგეკიდებათ, იქნებით მხნე და უშიშარი, ვითარცა უხორცო!

შენიშვნა: ვისაც ჩემი გამოცდილების გაზიარება სურს, იყოლიოს ცოლ-შვილი (თუ არ ჰყავს) და გაყიდოს ავტომანქანა (თუ ჰყავს)!

ალმანზორ თავაძე

ს	ა	ლ	ა	ლ	ო	[illegible]	ო
ს	ტ	რ	ი	ქ	ო	ნ	ე
ბ	ი	ს	ა	ქ	ა	რ	თ
ვ	ე	ლ	ო	ს	დ	ა	მ
ს	ა	ხ	ყ	რ	ე	ბ	ყ
ლ	მ	წ	ვ	რ	თ	ნ	ე
ლ	ს	შ	ო	თ	ა	ი	ნ
წ	კ	ი	რ	ვ	ე	ლ	ს

საქართველოს და ჭადრაკს
იფიცებს,
ფიცილში აქსოვს გურულ
სიფიცხეს!

ტყუილს, სიყალბეს ებრძვის,
იცილებს!
შემოდგომაზე ითვლის
წიწილებს!..

ნაღდი მწვრთნელია! ნაღდად
ვიცი მე,
რომ მომავალშიც ნაღდად
იბრწყინებს!

უნიკალური ამკობს სიწმინდე!.
თან გადაჰყვება კაცს, რა
მისჭირდეს!

ვისაც გეხებათ, ყველამ ისმინეთ:
კუთვნილისათვის სანამ
იცდიდეს?!

გულგრილობისგან შორს
დაიჭირეთ,
ნუ შეიწირავთ შოთა ინწკირველს!..

და გწამდეთ, კვლავაც არ
გაგაწბილებთ! —
დიდოსტატებად აღზრდის
ყმაწვილებს!

ზაურ ბოლქვაძე

ფრაზები

- **თუ** მიზანი მოითხოვს მსხვერპლს, — ეს უკვე მკვლელობაა.
- **სწრაფად** ის მიდის, ვინც უკან არ იხედება.
- **ტყუილს** მოკლე ფეხები აქვს, მაგრამ იორღა ცხენივით დარბის.
- **უშენოდ** სიცოცხლე არ შემიძლიაო! — ეფიცებოდა მგელი ცხვარს.
- **იყავ** მართალი და ტყუილს სხვები დაგიმტკიცებენ!
- **თუ** კრიტიკა კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს, — ეს უკვე სატირაა.
- **ნამდვილი** იუმორისტი ტყუილსაც სიმართლედ აქცევს.

სულხან ჟორჟანელი

7.87

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ორი-სამი წლის წინათ გაცემული ბინის ორდერები, სახლების აშენება კი დაწყებულიც არ არის.



— ეს მშენებელია?
— არა, პირველი სართულის მობინადრეა!

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" № 11 (1741). ივნისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ვაჟა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგენიძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე,** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 4. 05. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. 05. 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/4, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 1172. უე 04838. ტირაჟი 144.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ». (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137